- **BENet Praha, spol. s r.o.** ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განაცხადები №33908/04, 7937/05, 25249/05, 29402/05 და 33571/06)

აპლიკანტი არის შპს კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ჩეხეთის კანონმდებლობის შესაბამისად, დაფუძნებულია პრაღაში და მუშაობდა მეტალის შენადნობებზე. საქმეები შეეხებოდა აპლიკანტი კომპანიის საჩივარს მისი ქონების ჩამორთმევის გამო, რადგან ყოფილის ხელმძღვანელის მიმართ აღძრული იყო სიხლის სამართლის საქმის წარმოება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლსა და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით, აპლიკანტი ჩივის, რომ მისი საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლო მიმდინარეობდა უსამართლოდ, რადგან არ ეცნობათ პროკურატურის მიერ მიწოდებული მასალების შესახებ.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი; დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი შემდეგ განაცხადზე – №33571/06. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 1500 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარავად აპლიკანტის სასარგებლოდ.

- ჩამინსკი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ (განაცხადი №1194/04)

აპლიკანტი ალექსანდრე ჩამინსკი მაკედონიის მოქალაქეა, დაიბადა 1956 წელს და ამჟამად ცხოვრობს სლოვენიაში. ხუთი პირის წინააღმდეგ წარმოებული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხებოდა აპლიკანტის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეს გამოეყო სამოქალაქო დავა. ბატონი ჩამინსკი ჩივის, რომ ორივე მიმართულებით საქმის განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით. განმცხადებელს მიაჩნია, რმო მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში და სასამართლოსადმი ხელმისაწვდომოდის უფლება).

სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა.

ანალოგი საქმეები

- ჩანგოვი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ (განაცხადი № 14419/03)

საქმე ეხება სასამართლო განხილვების გაჭიანურებას, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ აღსრულებულა. აპლიკანტი ჩივის კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- შიპკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცადი №26483/04)

საქმე ეხება აპლიკანტის განაცხადს მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადის გაჭიანურებაზე. მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანსპორტირებას. აპლიკანტი მიუთითებს კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა აღნიშნული მუხლი აპლიკანტის 2005 წლის 1 ოქტომბრიდან დაკავების შემდეგ.

გაჭიანურებული საქმეები

ქვემოთ ჩამოთვლილ საქმეებში აპლიკანტები ძირითადად ჩივიან სასამართლოებში მათი საქმეების გაჭიანურებული განხილვების გამო.

<u>სისხლის სამართლის საქმეები</u>

- დელოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №30949/04)
- დინუჩი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №11486/04)
- გეორგიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №4551/05)
- კანჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №16850/04)

ეს საქმეები ეხება აპლიკანტების სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურებულ განხილვებს. პირველ და მეოთხე საქმეზე სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. მეორე და მესამე საქმეებზე სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. მეოთხე და მესამე საქმეზე სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-13 მუხლი.

<u>სხვა კატეგორიის საქმეები</u>

- ანტოანეტა ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №28899/04)
- ვოლოვიკი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №17446/06)

სასამართლომ ორივე საქმეზე დარღვეულად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.